სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინსტიტუტ ტექინფორმის

დირექტორის თანამდებობის დაკავების

დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები

დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილე ვალდებულია:

ა) ჰქონდეს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის სტაჟი;

ბ) გააჩნდეს სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის სფეროში განყოფილების, ჯგუფის, პროექტის ხელმძღვანელის რანგში მუშაობის გამოცდილება;

გ) იცნობდეს სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის სფეროს განვითარების მიმართულებებსა და პრობლემებს, ადგილობრივ და უცხოურ მიღწევებს;

დ) უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული ჰქონდეს ინსტიტუტის თემატიკით არანაკლებ 5 სამეცნიერო ნაშრომისა წამყვან ადგილობრივ და საერთაშორისო ჟურნალებში ან საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომებში;

ე) გააჩნდეს საერთაშორისო სამეცნიერო და საინფორმაციო ცენტრებთან და ორგანიზაციებთან მუშაობის გამოცდილება;

ვ) იცნობდეს სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის სფეროში სამეცნიერო კვლევების ჩატარების და მათი შედეგების პრაქტიკული რეალიზაციის თანამედროვე მეთოდებსა და საშუალებებს;

ზ) ფლობდეს მენეჯერულ უნარ-ჩვევებს.